

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დამატების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია თვითმმართველობის ორგანოში შუალედური არჩევნების უფრო ზედმიწევნითი რეგლამენტირება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია ხელი შეეუწყოს წარმომადგენლობითობის პრინციპის უწყვეტობას, მის მაქსიმალურად სრულფასოვან ასახვას კანონმდებლობაში და შესაბამისად დაცვას. ამასთანავე, წარმოდგენილი ცვლილებით უნდა გამოირიცხოს წყვეტილობა წარმომადგენლობითობის პრინციპის დაცვაში. თუ იმ საკრებულოში, სადაც მაჟორიტარული წესით ნაწილდება მხოლოდ 10 მანდატი, ჩვენ შუალედურ არჩევნებს ჩავატარებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება საკრებულოს 5 წევრს, მაშინ ჩვენ შეიძლება სახეზე მივიღოთ არსებითად ქმედუნარიანობა დაქვეითებული საკრებულო. ამასთანავე, ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს კიდევ საკრებულოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსი. ვფქირობთ ეს სრულებითაც არ შეესატყვისება წარმომადგენლობითობის პრინციპს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შედის შემდეგი სახის ცვლილება:

თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატთა ვაკანტური ადგილების შესავსებად საჭირო რაოდენობად დღეისათვის არსებული 5 ვაკანსია იცვლება 3-ით, ხოლო შუალედური არჩევნები აღარ ჩატარდება იმ შემთხვევაში თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია არა 2, არამედ 1 წელი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ასეთის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლების სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შეესაბამება ევროკავშირის რეკომენდაციებში ასახულ მოთხოვნებს და არ ეწინააღმდეგება მის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი – ლევან ვეფხვაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრი – ლევან ვეფხვაძე.